დანართი №2

შპს კოლეჯი არსის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტის“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ეკა ბუთხუზი
წევრები: დავით ბიტმალკიშევი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს კოლეჯი არსი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 216427999

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა
მოკლედ აღწერეთ ვიზიტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 04 ივნისის N672864 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტის“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით განახორციელონ ვიზიტი შპს არსში 2026 წლის 3 ივლისს (მის.: რუსთავი, აფხაზეთის ქუჩა N 12).

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2026 წლის 03 ივლისს განხორციელდა ვიზიტი შპს არსში (მის.: რუსთავი, აფხაზეთის ქუჩა N 12).

ვიზიტი ჩატარდა დღის წესრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელს, ბიბლიოთეკარს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს. დაათვალიერეს და შეისწავლეს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო სასწავლო რესურსი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, კოლეგიალურ და საქმიან ვითარებაში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

შპს კოლეჯი არსის მიერ წარმოდგენილი კორესპონდენციით (16/07/2026, N00000072) დგინდება, რომ დაწესებულება სრულად ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პროგრამის სახელწოდება	Front-end დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძნ. N – 1- 16 / 24.04.2026
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	რუსთავი, აფხაზეთის ქუჩა N 12
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	34
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება □

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....
.....
.....
.....
.....

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1 პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „**Front-end დეველოპმენტი**“ განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება, გამომდინარეობს **შპს კოლეჯი არსის** მისიიდან და სტრატეგიული მიზნებიდან და ეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებას.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დასაბუთება ეფუძნება შრომის ბაზრის ანალიზს და ასახავს რეგიონში არსებული საჭიროების შესწავლას. დასაბუთებაში მკაფიოდ გამოხატულია პროგრამის საჭიროება და მიზნობრიობა, რაც ადასტურებს მის შესაბამისობას დაწესებულების მისიასთან - განახორციელოს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული მულტიპროფილური პროფესიული პროგრამები. მოამზადოს ქვეყნის მასშტაბით, რეგიონსა და ადგილობრივ დონეზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, უზრუნველყოს კარიერული და პიროვნული ზრდა სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით და შრომის ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე, კოლეჯი არსი ორიენტირებულია ახალგაზრდებისა და ზრდასრულებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ხელმისაწვდომი, ხარისხიანი განათლების მიწოდებაზე და ხელს უწყობს რეგიონში კვალიფიციური სამუშაო ძალის ფორმირებას. აღნიშნული გადაწყვეტილება სრულად ეყრდნობა დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტია შრომის ბაზრისა და საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებით ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, რაც მიზნად ისახავს სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას. შპს კოლეჯი არსი ზრუნავს გააფართოვოს მიმართულებათა სპექტრი და დაიმატოს ისეთი პროგრამები, რომლებიც მოთხოვნადია შრომის ბაზარზე. დაწესებულება მდებარეობს ინდუსტრიულ ზონაში, შესაბამისად, მზარდია დამსაქმებლის საჭიროება web developer-ების მიმართ, რაც თავისთავად ახალი პროგრამის დამატების ტენდენციას ამყარებს. პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით, დაწესებულების მიერ განხორციელდა ქვემო ქართლის რეგიონში შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა კვლევა. კვლევა დაეფუძნა შრომის ბაზრის მოთხოვნისა და მიწოდების ანალიზს, ვაკანსიების მონიტორინგს, ხელფასების კვლევას, კონკურენტული გარემოს შეფასებას და რეგიონალური საჭიროებების ანალიზს. დოკუმენტი ასევე მოიცავს საერთაშორისო კვლევის მონაცემებს და საქართველოს ეროვნული ბანკის ICT სექტორის სტატისტიკას - პროფესიულ სასწავლებელში პროგრამის დამატების დასასაბუთებლად. ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები ცხადჰყოფს რეგიონში ახალი ობიექტებისა და დამსაქმებლების საჭიროებას. მათი საქმიანობის გამართულობა ცალსახად დამოკიდებულია ახალი ობიექტების მხრიდან ვებ-გვერდის ინტერაქტიული მომხმარებლის, მისი ფუნქციების ოპტიმიზაციის მზარდ მოთხოვნასთან; აღნიშნული კი განაპიროებებს ახალი პროგრამის კურსდამთავრებულთა უნარებისა და კომპეტენციების საჭიროებას შრომის ბაზარზე. აღსანიშნავია ისიც, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების ანალიზი იმ სამუშაო უნარებსა და პოზიციებზე, რის გამომუშავებასაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამა. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, მსოფლიო მასშტაბით Front-end დეველოპმენტის სექტორი სტაბილური ზრდით ხასიათდება.

პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა გამყარებულია იმითაც, რომ პროგრამა ,,Front-end დეველოპმენტი“ დისტანციური ფორმით, ქვემო ქართლის არც ერთ კოლეჯში არ ხორციელდება. კოლეჯის მიერ პროგრამის დისტანციურად/ ნაწილობრივ დისტანციურად განხორციელების შეთავაზება გაზრდის განათლებაზე ხელმისაწვდომობას და მისცემს უფრო მეტ ზრდასრულს შესაძლებლობას, დაეუფლონ თანამედროვე და მოთხოვნად პროფესიას.

კვლევების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ შესაბამისი უნარების მქონე კვალიფიციური კადრები, მიმდინარე ეტაპისთვის, ქვემო ქართლის რეგიონში არის დეფიციტური შრომის ბაზარზე; Front-end დეველოპმნენტის კვალიფიაციური კადრის მომზადება ხელს შეუწყობს როგორც თვითდასამებას, ასევე ადგიობრივი ეკონომიკის, მცირე სავაჭრო და მსხვილი ბიზნესის ეკონომიკური მაჩვენებლების განვითარებას.

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და ვიზიტის დროს ადმინისტრაციულ პერსონალთან, სასწავლო მოდულების განმახორციელებელ პედაგოგებთან გამოიკვეთა საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა. ვიზიტის პერიოდში მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დგინდება, რომ ,,Front-end დეველოპმენტის“ პროგრამის შემუშავებისას გამოყენებული იყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარის შეფასება, უკუკავშირი და რეკომენდაციები.

შპს კოლეჯი არსის სასწავლო პროცედურათა დებულებები არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურებს. ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების წესის“ მიხედვით, პროგრამის დაგეგმვის პროცესს წინ უძღვის, მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით, შრომის ბაზრის კვლევისა და დაგეგმვის ეტაპი, რომელიც მოიცავს პროგრამის დამატების ინიცირებას, სამუშაო ჯგუფის შედგენას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნასა და დასამტკიცებლად დირექტორთან წარდგენას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების/ დამატების მიზნით, კოლეჯის სტუდენტური სერვისების, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირი მოიპოვებს და ამუშავებს შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებს, შრომის ბაზრის / დამსაქმებელთა კონკრეტულ მოთხოვნებს; მონაცემების დამუშავების შემდეგ ხდება კოლეჯის დირექტორის მიმართ ინიცირება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების პროცესის შესახებ; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით კოლეჯი „არსის“ დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი. პროგრამების შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ დღის წესრიგისა და კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული პროექტის ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით დადებითად შეფასების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი ამტკიცებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სმართლებრივი აქტით-ბრძანებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხორციელდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტის/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ დაწესებულების გადაწყვეტილება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,Front-end დეველოპმენტის“ განხორციელების შესახებ, ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. **2.1.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

2.1.1.2 საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,Front-end დეველოპმენტი“ განსაზღვრული დაშვების წინაპირობა შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტით განსაზღვრულ წინაპირობასთან და კოლეჯის მიერ შემუშავებულ რეგულაციებთან. კერძოდ, დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება.

პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვითა და დაწესებულების მიერ დამტკიცებული წესების შესაბამისად. დაშვებასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები (სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა) დეტალურად არის გაწერილი კოლეჯის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია შემდეგი საკითხები: პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, შიდა და გარე მობილობა, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების საკითხები.

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესის დაგეგმვა და ორგანიზება, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები, დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება, აპლიკანტთა რეგისტრაცია, აპლიკნტთა შერჩევა, შერჩევაში მონაწილე აპლიკანტის ინფორმირება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა, შესარჩევი კომისიის ფორმირება და გასაუბრება და სხვ., მოტივაციური გასაუბრება, განმეორებით შეფასებაზე გაშვებისა და აპელაციის საკითხები, პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები და სხვა.

აღნიშნული რეგულაციები უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის თანაბარ შესაძლებლობებს, გამჭვირვალე გადაწყვეტილების მიღებასა და სამართლიან ადმინისტრაციულ პროცესს. შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და მიღების პროცედურები უზრუნველყოფს ისეთ პირთა დაშვებას, რომლებიც პროგრამის განხორციელების ვადაში შეძლებენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **2.1.1.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2.1.1.3 პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, კერძოდ: კოლეჯი არსის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საკუთრებაში აქვს შესაბამისი შენობა-ნაგებობა. დაწესებულებას აქვს საერთო, კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების მეთოდოლოგია, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური რესურსის რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას.
შპს კოლეჯი არსის დირექტორის მიერ დამკტიცებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის მიხედვით, კოლეჯის კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკა, კოლეჯის ადამიანური და მატერიალური რესურსი მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობის გათვალისწინებით, A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობები და სხვ.
კოლეჯს შემუშავებული აქვს ,,Front-end დეველოპმენტის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება. პროგრამაზე კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების რაოდენობაა 34 პროფესიული სტუდენტი, რაც შეესაბამება კოლეჯის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას.
აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- ორი AB გარემო/თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე;
- სასწავლო დანიშნულების შესაბამისი ნოუთბუქები და სხვა სასწავლო ინვენტარი;
- პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა;
- შრომის ბაზრის მოთხოვნის ანალიზი;
- ფინანსური რესურსის ანალიზი.

კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს ხდება აღნიშნული ასპექტების შესაბამისობის დადგენა სამიზნე ნიშნულებთან.
აღნიშნული პროფესიული პროგრამისთვის დადგენილია საერთო კვოტა 34 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. პასუხისმგებელ პირთა ინტერვიუირებისა და დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების, ასევე, პროგრამის ანალიზით დასტურდება, რომ დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრა არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **2.1.1.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

2.1.1.4 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის ,,Front-end დეველოპმენტი" განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებული მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსის შინაარსი შესაბამისობაშია შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში ხელმისაწვდომია ელექტრონული სასწავლო რესურსი. კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლები და, მოთხოვნის შემთხვევაში, ბიბლიოთეკარი სწავლების პროცესში უგზავნის პროფესიულ სტუდენტებს ელექტრონული ფოსტის საშუალებით და fecebook პლატფორმის გამოყენებით სასწავლო პრეზენტაციებსა და რესურსს.
რესურსის არსებობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგინდა ვიზუალური დათვალიერებით და რესურსების ფლობის/შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების შესაბამისობის კვლევასა და მონიტორინგს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და ხარისხის შენარჩუნებას.**2.1.1.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

2.1.1.5 საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,Front-end დეველოპმენტი“ მოიცავს ზოგად და პროფესიულ მოდულებს და არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს. **2.1.1.5 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

2.1.1.6 საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ, კერძოდ: კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების მიხედვით პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის დირექტორი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,Front-end დეველოპმენტი“ დამტკიდებულია შპს კოლეჯ არსის დირექტორის მიერ 2026 წლის 24 აპრილს N1-16 ბრძანებით. **2.1.1.6 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

2.1.1.7 პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,Front-end დეველოპმენტი“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ,,Front-end დეველოპმენტის“ საფუძველზე. ექსპერტთა მიერ გაანალიზდა სასწავლო პროგრამა, გეგმა, სწავლის შედეგები და მათი შეფასებით, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. **2.1.1.7 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

2.1.1.8 პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,Front-end დეველოპმენტი“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - ,,Front-end დეველოპმენტი“ - (სარეგისტრაციო ნომერი 06.1.1) საფუძველზე. პროგრამა მოიცავს სასწავლო გეგმას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს 9 კრედიტის მოცულობით, 10 პროფესიულ მოდულს 51 კრედიტის მოცულობით. Front-end დეველოპმენტში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 60 კრედიტის დაგროვება. მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით და მოცულობა შეადგენს 90 კრედიტს.
ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,Front-end დეველოპმენტი“ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,Front-end დეველოპმენტის“ შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი. შპს კოლეჯი არსის ,,პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების წესით“ განსაზღვრულია პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული რეგულაციები. პროგრამის რეგულაციებთან შესაბამისობით შემუშავების მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 24 აპრილის N 1- 16 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ასევე წარმოდგენილ იქნა პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის შექმნის შესახებ დირექტორის 2026 წლის 27 თებერვლის -07 ბრძანება შესაბამისი ოქმით, სადაც ნათლად ჩანს პროგრამის რეგულაციებთან შესაბამისობით შემუშავება.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და სხვა განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ აღნიშნული პირები. წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სტრუქტურა და მოდულები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა. სწავლების მეთოდოლოგია. პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს - პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები (ზოგადი, ინტეგრირებული და პროფესიული), სასწავლო გეგმა ქართული ენის A2 და B1 გათვალისწინებით და მის გარეშე. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. **2.1.1.8 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების წესი“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,Front-end დეველოპმენტი“;
- შპს კოლეჯ არსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,Front-end დეველოპმენტი“ შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის არგუმენტირების ცხრილი;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ,,Front-end დეველოპმენტის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება;
- კოლეჯის მისია;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- გასაუბრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ: კოლეჯს მფლობელობაში აქვს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური რესურსი. პროგრამის სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



გეგმით გათვალისწინებული მოდულების განხორციელებას დაწესებულება გეგმავს დისტანციურად, სპეციალური პლატფორმის გამოყენებით zoom-ის (დამატებით დაიხმარს Discord-ის, Git-ის, GitHub-ის პლატფორმებს), ხოლო მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების დადასტურება, შეფასების სისტემით დადგენილი მოთხოვნების დაცვის მიზნით, განხორციელდება კოლეჯის ბაზაზე მოწყობილ B გარემოში. სწავლება-სწავლის ორგანიზებასთან და შეფასების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად / ნაწილობრივ დისტანციურად განხორციელების წესი და პირობებისა“ და სასწავლო პროცესის წესის მე-12 მუხლის (სასწავლო პროცესის ორგანიზება სასწავლო პროცესის დისტანციურად/ შერეული ფორმით განხორციელებისას) მიხედვით. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-12 მუხლის მიხედვით განსაზღვრულია დისტანციური სწავლების განრიგის (ცხრილის), ხანგრძლივობის, შეფასების, სტუდენტთა (მათ შორის სსსმ სტუდენტის) დასწრების მონიტორინგის საკითხები და პასუხისმგებელი პირები; სტუდენტთა და მასწავლებელთა ვალდებულებები, დავალების მიწოდებისა და უკუკავშირის ფორმები და სხვ.

აღნიშნული დოკუმენტებით დგინდება შპს კოლეჯ არსში პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული პროგრამის იმ კომპონენტის/კომპონენტების დისტანციურად სწავლება ან/და შეფასება, დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესის ეტაპები, პროცესში ჩართულ პირთა მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების, ასევე, დისტანციური სწავლებისა და შეფასების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები. ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად / ნაწილობრივ დისტანციურად განხორციელების წესი და პირობები“ არეგულირებს დისტანციური სწავლების ფორმებს, დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესს (ადმინისტრირებას, მონიტორინგსა და დაკვირვებას). დოკუმენტის მიხედვით, დისტანციური სწავლება შეიძლება განხორციელდეს:

- სინქრონული ფორმით;
- ასინქრონული ფორმით;
- შერეული (ჰიბრიდული) მოდელით.

კოლეჯი უზრუნველყოფს დისტანციური/ნაწილობრივ დისტანციური სწავლების პროცესში გამოყენებული ელექტრონული სისტემებისა და პლატფორმების უსაფრთხო გამოყენებას.

სასწავლო პროცესის დაწყებამდე სტუდენტებს/მსმენელებს მიეწოდებათ ინფორმაცია:

- გამოყენებული ელექტრონული პლატფორმების შესახებ;
- სასწავლო მასალებზე წვდომის წესების შესახებ;
- ონლაინ კომუნიკაციისა და უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ;
- აუცილებელი ტექნიკური რესურსების შესახებ.

დისტანციური სასწავლო პროცესის წარმართვისა და დისტანციური სასწავლო რესურსების გამოყენების მიზნით კოლეჯს შეძენილი აქვს Zoom-ის ელექტრონული პლატფორმა. კოლეჯს პროფესიული სტუდენტებისთვის შესყიდული აქვს ასევე დომენი და ჰოსტინგი (ვებ სივრცე) პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად. გარდა ამისა, სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნება Discord, Git, GitHub ტექნოლოგიები, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



გვაძლევს დაწესებულებას მისცემს შესაძლებლობას ეფექტიანად მართოს დავალებების გაცემის, შესრულებისა და შეფასების პროცესები, უზრუნველყოს დროული უკუკავშირი და შეინარჩუნოს სტუდენტებთან კომუნიკაცია.

განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ სხვა იცნობენ დისტანციურად სასწავლო პროცესის რეგულაციას. მათ აქვთ გამოცდილება დისტანციურად/ნაწილობრივ დისტანციურად მოდულების წაკითხვისა და საჭიროების შემთვევაში აღნიშნული პროგრამის ფარგლებშიც შეძლებენ ცოდნის გამოყენებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულადაა უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **2.2.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

2.2.1.2 პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ: პროგრამის დანართის სახით წარმოდგენილია პროგრამის განმახორციელებელთა სია, რომლის მიხედვითაც პროგრამა ხორციელდება: ზოგადი მოდულის განმახორციელებელი 6 პროფესიული განათლების მასწავლებლის, პროფესიული მოდულის განმახორციელებელი 4 პროფესიული განათლების მასწავლებლის და 1 ქართული ენის მოდულის მასწავლებლის მიერ, სულ 11 პირი. პროგრამის შემადგენელ თითოეულ მოდულს ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი პირი. კოლეჯში სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავდება პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის ამსახველი დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა, ასევე მათი დატვირთვა სხვა პროგრამაზე მოდულის განხორციელების შემთხვევაში. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსს და არ აღემატება კვირაში 40 საათს. **2.2.1.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

2.2.1.3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, კერძოდ: პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია გამოცდილება და გადამზადება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. მათთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს. ხელშეკრულებებში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც განახორციელებს პროფესიული განათლებლების მასწავლებელი.

კოლეჯის მუდმივად ზრუნავს პროფესიული განათლების მასწავლებელთა საჭიროებებზე. მაგალითად, ზემოთაღნიშნული პროგრამის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირების განვითარების მიზნით კოლეჯმა დაგეგმა და ჩაატარა ტრენინგი ,,ძირითადი პედაგიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სტრატეგიები კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების პროცესში“, „სწავლა სწავლების მეთოდები პროფესიულ განათლებაში და კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება“. მასწავლებელთა განვითარების მიზნით კოლეჯში ტარდება სამუშაო შეხვედრები, მაგ.: შედეგზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვა და სტუდენტის მიღწევების შეფასებაზე ორიენტირებული პრაქტიკის განვითარება “Front-end დეველოპმენტის” პროგრამის პროფესიული მასწავლებლებისთვის“. განამახორციელებელ მასწავლებლებს ასევე გააჩნიათ დისტანციური ფორმატით მოდულის განხორციელების კომპეტენცია. აღნიშნული დადასტურდა პროფესიულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის პერსონალთან გასაუბრებითა და ტრენინგების/შეხვედრის. **2.2.1.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

2.2.1.4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, კერძოდ: პროგრამის ხელმძღვანელი არის პროგრამის შინაარსზე, ხარისხზე, განხორციელებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უძღვება პროგრამის შემუშავებისა და მისი განვითარების პროცესებს. პროგრამის ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს სფეროს შესაბამისი განათლებით/პრაქტიკული გამოცდილებით.
ვიზიტის დროს გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გასაუბრება. პროგრამის ხელძღვანელს გააჩნია დარგობრივი მიმართულებით განათლება, ასევე პროფესიული სამუშაო გამოცდილება, სამუშაო გამოცდილებით ასევე დასტურდება დისტანციური ფორმით სასწავლო პროცესის განხორციელების გამოცდილება. პროგრამის ხელმძრვანელს გავლილი აქვს დაწესებულების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ტრენინგი თემაზე: „სწავლა სწავლების მეთოდები პროფესიულ განათლებაში და კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება“.

ინტერვიურების პროცესში ნათლად წარმოჩნდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევასა და რესურსების მობილიზებაში. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამას ჰყავს, დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. **2.2.1.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

2.2.1.5 საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, კერძოდ: კოლეჯი აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო რესურსით, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით და საჭიროების შემთხვევაში დისტანციური სწავლებისას პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით სასწავლო მასალის გამოყენების შესაძლებლობა.
ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინოდ არის გამოკრული საინფორმაციო ხასიათის ინსტრუქციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სამკითხველო დარბაზში განთავსებულია სახელმძღვანელოები მატერიალური სახით, სივრცე აღჭურვილია სათანადო ინვენტარით - 2 კომპიუტერით და 2 ნოუთბუქით - რომლებშიც ჩატვირთულია პროგრამის სასწავლო რესურსი. ასევე საჭიროების შემთხვევაში არის პრინტერის გამოყენების შესაძლებლობა.

დისტანციური/ნაწილობრივ დისტანციური სწავლების პირობებში კოლეჯი არსი პროგრამის განხორციელებისთვის გამოიყენებს წინასწარ ადაპტირებულ სასწავლო რესურსს, რომელიც უზრუნველყოფს როგორც თეორიული ცოდნის მიღებას, ისე პრაქტიკული უნარების განვითარებასა და დემონსტრირებას. რესურსები ორგანიზებულია ერთიან ციფრულ სივრცეში, განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის უწყვეტად, რათა მათ შეძლონ სწავლა საკუთარი სწავლის სტილის შესაბამისად მათ შორის გაცდენილი მასალის ანაზღაურება/გადამეორება.

შეთავაზებული ადაპტირებული სასწავლო რესურსები მოიცავს:

- ლექციის ჩანაწერებს და ვიდეო მასალას, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას განმეორებით ნახონ პრაქტიკული დემონსტრირებები და ეტაპობრივად გაიმყარონ მიღებული ცოდნა. ჩანაწერები გამოიყენება როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე მექანიზმი ასინქრონული სწავლების ნაწილში.
- ტექსტობრივი და ვიზუალური სასწავლო მასალები - გაციფრულებული ლექციის სლაიდები, სახელმძღვანელო-გაიდლაინები, მოკლე ინსტრუქციები, ვიზუალური მაგალითები/შაბლონები, და ა.შ.
- პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შედგენილი დავალებები და მისი შეფასების კრიტერიუმები - თითოეული დავალება მოიცავს მკაფიო შესრულების კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტისთვის მოთხოვნების გამჭვირვალობას და საშუალებას აძლევს პრაქტიკული უნარი წარმოადგინოს დოკუმენტირებულად, კონკრეტული შედეგებით.
- დამხმარე რესურსები და კონსულტაციები - სასწავლო რესურსებთან ერთად სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია დამატებითი კონსულტაციები, რაც უზრუნველყოფს სირთულეების დროულ გადაჭრას და პრაქტიკული უნარების გაძლიერებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა შეფასებით **2.2.1.5 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

2.2.1.6 სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, კერძოდ: კოლეჯში შექმნილია პირობები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის განათლების მისაღებად და მათი სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის საზოგადოებაში. კოლეჯის სასწავლო პროცედურათა დებულება მოიცავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფის მექანიზმს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების შემთხვევაში სათანადო რესურსებთან წვდომის მექანიზმს. კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი შეიმუშავებს იდნივიდუალურ სასწავლო გეგმას. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის მე-12 მუხლი მოიცავს სასწავლო პროცესის ორგანიზების საკითხებს სასწავლო პროცესის დისტანციურად/შერეული ფორმით განხორციელებისას. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია სსსმ პროფესიული სტუდენტების დისტანციურ ლექციებზე დასწრების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის, სსსმ პროფესიული სტუდენტის დავალების შესრულების პროცესში (საჭიროების შემთხვევაში) დახმარებისა და შესრულებულ დავალებაზე უკუკავშირის მიწოდების საკითხები და პასუხისმგებელი პირების საქმიანობა. **2.2.1.6 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2.2.1.7 პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, კერძოდ: კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის **„Front-end დეველოპმენტის“** მდგრად და უწყვეტ განხორციელებას, ვინაიდან პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება იღებს ვაუჩერულ დაფინანსებას. საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლებიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს, პროფესიულ სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით (რენტაბელობის ზღვარად მიჩნეულია მინიმუმ 20 პროფესიული სტუდენტი), რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. საპროგნოზო ბიუჯეტში გათვალისწინებულია ყველა ის ძირითადი ხარჯი, რომელსაც პროგრამის განხორციელება მოითხოვს:

- პედაგოგთა ანაზღაურება;
- პოგრამის ხელმძღვანელის ადმინისტრაციული სარგო;
- ადმინისტრაციის სარგო;
- Zoom პლატფორმის უწყვეტი რეჟიმის შესაყიდვის ხარჯი;
- პედაგოგთა განვითარების - ტრენგების ხარჯი;
- სახარჯი მასალები;
- კომუნალურები / ელქტროენერგია, ინტერნეტი/
- და სხვა (მაგ. სტუდენტთა ღონისძიებების, ექსტრაკულიკულური აქტივობების) ხარჯი.

ბიუჯეტის დოკუმენტში ფინანსური გათვლა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. **2.2.1.7 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- კოლეჯის მატერიალური და ადამიანური რესურსის დანართი;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები/წინარე ხელშეკრულებები;
- პროგრამისხელმძღვანელის პირადი საქმე/წინარე ხელშეკრულება;
- პროფესიული მასწავლებლების დატვირთვის სქემა;
- პროფესიულ მასწავლებელთა განვითარების სამოქმედო გეგმა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შპს კოლეჯი არსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად / ნაწილობრივ დისტანციურად განხორციელების წესი და პირობები;
- დასაბუთება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ან პროგრამის კომპონენტის სრულად დისტანციური ან ნაწილობრივ დისტანციური ფორმით განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- ბიბლიოთეკის დებულება;
- ბიბლიოთეკარის პირადი საქმე;
- მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- კოლეჯის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.1.1 პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ., კერძოდ: დაწესებულებას შემუშავებული აქვს „კოლეჯი „არსის“ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის და შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები“, რომელიც ეყრდნობა დემინგის ციკლს და მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმებს. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება ისეთ პრინციპებს, როგორიცაა: უწყვეტი განვითარება, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს პროცესების იდენტიფიცირებას, დაგეგმვას, განვითარებას, წლიური მონიტორინგის გეგმის შედგენას, მონიტორინგის განხორციელებას და პროცესების შეფასებას. ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ყველა ძირითადი პროცესი ექვემდებარება ყოველწლიურ შეფასებას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების



მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების ერთ-ერთი მიმართულება არის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება - პროგრამების შემუშავება/დანერგვა/განვითარება.

პროგრამების განვითარების მიზნით, ხორციელდება გამოკითხვა, მონაცემების შეგროვება და ანალიზი. პროგრამების განვითარება გულისხმობს პროგრამებში შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭირო ცვლილებების განხორციელებას: სწავლების მეთოდების, შეფასების სისტემის, გამოყენებული ლიტერატურის, სწავლის შედეგების და ა.შ. მოდიფიცირებას. ხარისხის მართვის სამსახური პროგრამების შემოწმებისას ახორციელებს:

- პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლის, პროფესიული სტუდენტის, პრაქტიკის, ობიექტის დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული პირების გამოკითხვას;
- საგანმანათლებლო პროცესზე დასწრებას და დაკვირვებას;
- პროგრამის ფარგლებში ვერიფიკაციას.

პროცესი ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით გაწერილი ვადების გათვალისწინებით. პროგრამის შემოწმების შედეგები წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენელს, რომელმაც აღნიშნა, რომ პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ თუ საერთაშორისო გამოცდილებას. იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებას ჯერ არ აქვს პროგრამის განხორციელების უფლება მოპოვებული, მისი შეფასება ჯერ არ მომხდარა. ექსპერტთა შეფასებით **2.3.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

2.3.1.2 პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, კერძოდ, კოლეჯს შემუშავებული აქვს ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების წესი", რომელიც ითვალისწინებს: პროგრამის განვითარებას და ცვლილებების განხორციელების შემთხვევებს და ცვლილებების განხორციელების პროცედურას. კოლეჯის ხარისხის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლის „დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე-განავითარე" მოდელზე. პროგრამის შეფასება ხდება ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებზე დაყრდნობით, რომლის ფარგლებში ხორციელდება ყველა დაინტერესებული მხარის (პროფესიული სტუდენტი, დამსაქმებელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი) გამოკითხვა და შედეგების ანალიზი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით კოლეჯი:

- შეიმუშავებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემას;
- ადგენს პროგრამის შეფასებისათვის სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას (პროფესიულ სტუდენტთა კითხვარებს, პროფესიული განათლების მასწავლებლების კითხვარებს, კურსდამთავრებულთა სტატისტიკას და სხვ.);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.
საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ან სხვა გარემოებების საფუძველზე. ინიცირების მომართვიანობის საფუძველზე კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება შესაბამისი კომისია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების შესახებ. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას და სხვა დაინტერესებულ პირებს. შესაბამისი კომისია იღებს გადაწყვეტილებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების ან ცვლილების განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ, რაც ფორმდება კომისიის სხდომის ოქმის სახით. ცვლილებას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური სამართლებლივი აქტით. ექსპერტთა შეფასებით, **2.3.1.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების წესი“;
- ,,კოლეჯი ,,არსის“ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის და შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები“;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1 პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის**„Front-end დეველოპმენტი“** შედგენილია სასწავლო გეგმები, ქართული ენის მოდულებითა და მის გარეშე. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა არის თანმიმდევრული. განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად ყველა კომპონენტი: მოდული, სწავლების ფორმა, კრედიტების რაოდენობა, საათების განაწილება დატვირთვის მიხედვით და სხვ. სასწავლო გეგმა იძლევა ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრულად განხორციელების შესახებ და დაცული არის მოდულების განხორციელების ლოგიკური თანმიმდევრობა. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა. პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. **2.4.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

2.4.1.2 პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, კერძოდ: შპს კოლეჯ არსში საწავლო პროცესი მიმდინარეობს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა და მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელსაც უნდა ფლობდეს პროფესიული სტუდენტი პროგრამის დამთავრებისას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
დაწესებულების სასწავლო პროცესისი მარეგულირებელი დოკუმენტით რეგულირდება სასწავლო პროცესის ორგანიზება სასწავლო პროცესის დისტანციურად/შერეული ფორმით განხორციელებისას. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, დისტანციური სწავლების პროცესი ხორციელდება სასწავლო განრიგით (ცხრილით) გათვალისწინებული დროის, ხანგრძლივობისა და კალენდარული გეგმის შესაბამისად. პროცესის ორგანიზებასა და მხარდაჭერას ახორციელებს კოლეჯის ადმინისტრაცია. დისტანციური სწავლების შემთხვევაში ერთი სალექციო/შეფასების საათი მოიცავს 50

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



წუთს. პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები დისტანციური სწავლების პროცესში ერთვებიან ელექტრონული სასწავლო პლატფორმის მეშვეობით, რომლითაც უზრუნველყოფილია სალექციო პროცესის ჩაწერა და შენახვა.

კოლეჯი სრულად ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად რეაგირებს ყველა შემხვედრ საჭიროებაზე, კერძოდ, ეს შეიძლება გამოიხატოს სასწავლო გეგმის ცვლილებაში, დისტანციური სწავლების დროს, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტთა რესურსებით უზრუნველყოფაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და/ან დამატებითი მეცადინეობები/კონსულტაციების ჩატარებაში.

სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებთან ტარდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, სადაც მათ აწვდიან სრულ ინფორმაციას პროგრამის შინაარსზე, სწავლის პირობებსა და შესაძლებლობებზე, მათ უფლებებსა და ვალდებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში მოხდება ცვლილება ან მისი გაუქმება, კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის განათლების გაგრძელების შესაძლებლობას. კოლეჯი მყისიერად რეაგირებს სტუდენტების საჭიროებებზე და მაქსიმალურ მხარდაჭერას უწევს სასწავლო პროცესში. სასწავლო პროცესის ორგანიზებისას სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებისა და მათ საჭიროებებზე მოქნილად რეაგირების პრაქტიკა დადასტურდა დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების, თანასწორობის, ინკლუზიურობის, ხარისხის უზრუნველყოფისა და უწყვეტი განვითარების პრინციპებს.

2.4.1.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.

2.4.1.3 სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, კერძოდ:

პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი გარემო აღჭურვილია ყველა იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. პროგრამა სრულად ითვალისწინებს სწავლების მეთოდებს და უზრუნველყოფს თანამედროვე მიდგომების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგების დისტანციურად მიღწევის შესაძლებლობა კოლეჯი არსის მიერ პროგრამის დაგეგმვის ეტაპზევე იქნა გათვალისიწინებული, კერძოდ, პროგრამით განსაზღვრული მოდულები დისტანციურად განხორციელდება როგორც თეორიული საკითხების მიწოდებით, ასვე პრაქტიკული დავალებების შესრულებით. შესაბამისად, სწავლების დაგეგმვა ეფუძნება შედეგზე ორიენტირებულ მიდგომას, რომელიც აერთიანებს თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ დავალებებს, უწყვეტ უკუკავშირსა და მონაცემებზე დაფუძნებული მონიტორინგის მიდგომებს. დისტანციური სწავლების პროცესში კოლეჯი გამოიყენებს მოქნილ და ადაპტირებულ სასწავლო მოდელს, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს, გამოცდილებასა და სწავლის ტემპს. პროგრამის უმთავრესი ნაწილი ხორციელდება ონლაინ პლატფორმების გამოყენებით, რაც საშუალებას აძლევს დაწესებულებას უზრუნველყოს როგორც ძირითადად სინქრონული, ისე ასინქრონული სწავლება. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დაესწრონ ონლაინ ლექციებს რეალურ დროში, ასევე გამოიყენონ ლექციის ჩანაწერები გაცდენილი საათების ანაზღაურებისა და მასალის განმეორების მიზნით. სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად პრაქტიკასა და პროექტებზე დაფუძნებულ სწავლების მეთოდოლოგია გამოიყენება. სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია ინდივიდუალური და ჯგუფური პრაქტიკული დავალებები, მულტიდისციპლინური პროექტები და რეალურ სამუშაო გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებული სიმულაციური ამოცანები. აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მიდგომა სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას განივითარონ დარგობრივი უნარები და გააზრებულად გამოიყენონ მიღებული ცოდნა პრაქტიკაში.

პროგრამის ეფექტურობის მიზნით კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებას, ამ მიზნით კოლეჯი მუდმივად აორგანიზებს და ატარებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგებსა და მასტერკლასებს სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, დისტანციური სწავლების მეთოდებზე, რაც დასტურდება ცნობებით, სერტიფიკატებითა და ტრენინგებზე დასწრების ფურცლებით. ექსპერტთა შეფასებით, **2.4.1.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

2.4.1.4 პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, კერძოდ: კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებით დარეგულირებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმები და პროცედურები, რომლის მიხედვით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების შემთხვევები, შემუშავებაზე პასუხიმგებელი პირები და პროფესიულ სტუდენტთა სავალდებულო ჩართვისა და მათთან შეთანხმების მექანიზმები. განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებაზე ზრუნვას, მათ შორის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას კოლეჯი მიმართავს პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო მიდგომებს.

დაწესებულების რეგულაციაში გაწერილია სსსმ პროფესიული სტუდენტების დისტანციურ ლექციებზე დასწრებას მონიტორინგის საკითხები და პასუხისმგებელი პირები, სსსმ პროფესიული სტუდენტის ასისტირება დავალების შესრულების პროცესში, სსსმ პროფესიული სტუდენტის მიერ შესრულებული დავალებების მონიტორინგის უზრუნველყოფა, სტუდენტის პორტფოლიოს წარმოება და სხვ. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით **2.4.1.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

2.4.1.5 პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,Front-end დეველოპმენტი" ხორციელდება შპს კოლეჯი არსის იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად პროგრამა არ ითვალისიწნებს პარტნიორ საწარმოო დაწესებულებასთან ურთიეთთანამშრომლობას. **2.4.1.5 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

2.4.1.6 სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კერძოდ: სასწავლო დაწესებულება ,,არსი" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას განახორციელებს კონსტრუქციულად მდგრად შენობაში, რომელშიც გათვალისწინებულია სახანძრო და საევაკუაციო მოთხოვნები, შენობა აღჭურვილია საევაკუაციო სანათი ნიშნებით და ოპერირებული ცეცხლმაქრი მოწყობილობებით, დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. პროგრამა განხორციელდება დისტანციურად და კოლეჯის B სასწავლო გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულებას შემუშავებული აქვს ელექტრონული სისტემების (Zoom, Google Classroom და ელექტრონული ფოსტის) უსაფრთხო გამოყენების ინსტრუქცია. კოლეჯს უსაფთხოების მიზნით შემუშავებული აქვს ასევე ,,შრომისა და სწავლების უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი", რომლის მიზანს წარმოადგენს კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფთათვის, სტუდენტებისთვის უსაფრთხო სასწავლო გარემოს და კოლეჯში დასაქმებული პირების შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი სისტემატურად ახორციელებს რისკების შეფასებას, ასევე რეგულარულად ატარებს ტრენინგებს პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. აღნიშნული დასტურდება დოკუმენტაციის შესწავლით, კოლეჯის ვიზუალური დათვალიერებით, ადმინისტრაციასა და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გასაუბრებით. **2.4.1.6 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- სასწავლო გეგმა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად / ნაწილობრივ დისტანციურად განხორციელების წესი და პირობები;
- ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (შეხვედრის ოქმები, სერტიფიკატები);
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შრომის და სწავლების უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი;
- ელექტრონული სისტემების (Zoom, Google Classroom და ელექტრონული ფოსტის) უსაფრთხო გამოყენების ინსტრუქცია;
- ინტერვირების შედეგები;
- ვიზიტის დროს შენობის ვიზუალური დათვალიერება.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2.4.2.1 პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, კერძოდ: დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტში ,,კოლეჯი „არსის“ სასწავლო პროცედურათა დებულება” გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების საკითხები. აღნიშნულ დოკუმენტში გათვალისწინებულია შეფასების წესი, სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების წესი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების შეფასების შესახებ დოკუმენტაციის წარმოების საკითხები. აღნიშნული წესები არეგულირებს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურებს, შეფასების მიდგომებს, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხებს, აპელაციის წესს, შეფასების პროცესის ადმინისტრირების საკითხებს, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურას და წესს, მტკიცებულებების მოპოვება შენახვის შესახებ ინფორმაციას და სხვ. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. **2.4..2.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

2.4.2.2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, კერძოდ: დაწესებულების კოლეჯი „არსის“ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის და შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები ითვალისწინებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციას, რომლის შესაბამისადაც, ვერიფიკაცია არის ხარისხის შეფასების სისტემა, რომელიც ადასტურებს, რომ კოლეჯში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე და სამართლიანი.

ვერიფიკაციის მიმართულებებია შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ვერიფიკაცია ხორციელდება შერჩევის მექანიზმის მიხედვით. ვერიფიკაციის განხორციელება ხდება ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით. მასზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის პასუხისმგებელი, თუმცა პროცესში შესაძლებელია სხვა პირები იყვნენ ჩართულნი. ვერიფიკაციის პროცესში არ უნდა იქნეს ჩართული პირი, რომელმაც შეიმუშავა შეფასების ინსტრუმენტი ან რაიმე სახით მონაწილეობდა მის შექმნაში. ვერიფიკაცია ჩატარდება შერჩევითობის პრინციპით, ხოლო შედეგები აისახება დასკვნაში. საჭიროების შემთხვევაში გაიცემა რეკომენდაციები. **2.4.2.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

2.4.2.3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, კერძოდ: ,,კოლეჯი „არსის“ სასწავლო პროცედურათა დებულების” მე-15 თავში გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების შეფასების შესახებ დოკუმენტაციის წარმოების საკითხები. დოკუმენტის მიხედვით, მტკიცებულებათა შეგროვება და პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება მიმდინარეობს მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში ან/და სწავლის დასრულებისას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილ მტკიცებულებათა კოლეჯში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას შენახვას და მათ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს კოლეჯის ადმინისტრაცია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები კოლეჯში დაცულია და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ ინახება მუდმივად. კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ უწყისების შენახვა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. **2.4.2.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

2.4.2.4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ: კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ პროფესიული მასწავლებლები პერიოდულად განიხილავენ შეფასების შედეგებს ინდივიდუალურ რეჟიმში პროფესიულ სტუდენტებთან, რომელიც გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად შესაძლებელია დაინიცირდეს სწავლების მეთოდების, შეფასების სისტემის გაუმჯობესების ინიციატივები, დადგეს ინდივიდუალური გეგმის შედგენის საჭიროება, ეს კი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა განვითრებას. **2.4.2.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება;
- კოლეჯი „არსის“ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის და შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები;
- ინტერვიუირება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

17.07.2026
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: